ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/6603-14

"18" 11 2014 წ.

დადგენილება №000804
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

18.11.2014წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ დავით მედულაშვილმა განვიხილე 2014 წლის 22 სექტემბრის №000804 მითითება და 2014 წლის 08 ოქტომბრის №000804 შემოწმების აქტი, შედგენილი **მოქ. უშანგი მდინარაძის** (პირადი №01024030873), **მოქ. გრიგორი მიქელაძის** (პირადი №01024020839), **მოქ. ნანი ჭუმბურიძის** (პირადი №01024053220) - მის: ქ. თბილისი, ცაგარელის ქ. №10 - მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ცაგარელის ქ. №10-ში განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1206531 AR1159827 07.04.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ±0.00 ნიშნული: შეცვლილია კოლონების გაბარიტი და მონაცვლებული აქვთ ადგილი, დამატებით მოწყობილია დიაფრაგმები. +4.05 ნიშნული: „ა-ა" ღერძის მარჯვნივ დამატებით მოწყობილია კონსოლი. „4-4" და „$ა^{11}$-$ა^{11}$" ღერძების გადაკვეთასთან აივანი შემცირებულია სიგრძეში. „გ-$დ^{1}$" მონაკვეთში გადახურვის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი. „5^{1}-5^{1}" ღერძის მარჯვნივ გაუქმებულია ფართი, შეცვლილია შენობის გაბარიტი და კონფიგურაცია. შენობა ნაწილობრივ ცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2014 წლის 22 სექტემბერს შედგენილ იქნა მითითება №000804, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2014 წლის 08 ოქტომბერს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000804, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2014 წლის 14 ნოემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა მოქ. გიორგი ტატუაშვილი (პირადი №01013024941), რომელმაც განაცხადა, რომ ობიექტის მშენებლობის დამკვეთს წარმოადგენს შ.პ.ს. "ცაგარელის 10" და წარმოადგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1466221 AR1248110 23.09.2014წ. ბრძანება. საქმეშია, შ.პ.ს. "ცაგარელის 10"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი №405018591) დირექტორის იოსებ მდინარაძის მიერ გაცემული მინდობილობა №3/30 30.05.2014წ. შ.პ.ს. "ცაგარელის 10"-ის წარმომადგენელმა გიორგი ტატუაშვილმა განაცხადა, რომ ეთანხმებიან მითითებას და აპირებენ პროექტის კორექტირებას. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ცაგარელის 10"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ცაგარელის ქ. №10-ში განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1206531 AR1159827 07.04.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ცაგარელის 10" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ცაგარელის 10"-ს დაევალოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ცაგარელის 10"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე — დ. მედულაშვილი

საგადახდო დავალება N1

"16" დეკემბერი 2014 წელი

რეფერენსი
3194284449

გადამხდელის დასახელება: შპს ცაგარელი 10

ანგარიში (დებეტი) GE98BG0000000501215700
(ძველი ანგ.)

თანხა
4000.00

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

თანხა სიტყვებით
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს ცავარელი 10

საიდენტ. კოდი 405018591

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 16.12.14

გატარებულია ბანკის მიერ: 16.12.14

ხელმოწერა

გადახდის დანიშნულება: დადგენილება #000804 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

დამატებითი ინფორმაცია:

შტამპის ადგილი

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი